ლახამი ჰესი

ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

ლახამი ჰესი წარმოადგენს კომპანიას რომლისთვისაც დასაქმებულთა შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნა და ჯანმრთელობა არის უპირველესი საზრუნავი. კომპანია მიიღებს ყველა გონივრულად პრაქტიკულ ზომას, რათა აღმოფხვრას და მინიმუმამდე შეამციროს საქმიანობის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი რისკები. საქართველოს შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის და საერთაშორისო პრაქტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოახდინოს იმ საფრთხების იდენტიფიკაცია, რომელთაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინონ დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე. კომპანიის შრომის უსაფრთხოების გუნდი ზრუნავს როგორც ჰესის ტერიტორიაზე მყოფ საკუთარ თანამშრომლებზე ისე ნებისმიერ სხვა პიროვნებაზე, რომელიც დროებით მოხვდება მის ობიექტზე. (კონტრაქტორები, ვიზიტორები)

კომპანია იღებს ვალდებულებას ჰესის ოპერირების სამუშაოები უზრუნველყოს საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე სამუშაოს მიმდინარეობისას რიგ სიტუაციებში გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნები. ISO, OSHA და სხვა. დასაქმებულთა მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის სტანდარტში.

ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის გეგმის და კომპანიის ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით, დადგენილია უსაფრთხოების ის ღონისძიებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა კომპანიისა და მისი თანამშრომლებისთვის, რათა გათვალისწინებულ იქნას შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონის მოთხოვნები და უზრუნველყოფილ იქნას ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე უწყვეტი კონსულტაციების გამართვისა და მათი მართვის მექანიზმები.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის აღსრულების ღონისძიებები

ლახამი ჰესის შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის ეფექტურად აღსრულებისთვის შექმნილია „ლახამი ჰესის შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მართვის გეგმა“ . გეგმა ასახავს ჰესზე მიმდინარე სამუშაოების სპეციფიკას. მათთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიკაციას, რისკების შემცირების გზებს. პრევენციულ ღონისძიებებს. შიდა ორგანიზაციულ საკითხებს, პასუხისმგებლობების გადანაწილებას.

საქართველო, თბილისი

13 იანვარი 2025 წელი

ლახამი ჰესი

დირექტორი: გიორგი აბრამიშვილი